



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 61

2011 წლის 27 მაისი

ქალაქი ხაშური

## საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 17 მაისს (სატენდერო განცხადება (SPA 110013322) და 2011 წლის 24 მაისს (SPA 110013973) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერები საავტომობილო საწვავის (ბენზინის) შესყიდვაზე, რომლებიც არ შედგა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის საწვავის მიწოდება კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის მისაწოდებლად საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

